ოქმი:**ო12.37220181**
თარიღი:**18/01/2022**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 17 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ.ხავთასი, მ.ჩხიკვიშვილი, მ.ვაშალომიძე, გ.სირაძე, ს.ქარცივაძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

2. მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიშის შესახებ.

   მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

3. საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული საბჭოს წერილის თაობაზე.

   მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე, რომლებიც განაპირობა საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - განხორციელებულმა ცვლილებებმა, აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას პროექტზე შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა და წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს მხარი დაეჭირათ პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი. გააცნო მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული

მუშაობის აუდიტორული ანგარიში და საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული საბჭოს წერილი, რომლებიც კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2.მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში და საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული საბჭოს წერილი, მიიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი